საქართველოში მცხოვრები ტრანსგენდერი ქალების/კაცების საჭიროებები და გამოწვევები

კესო კეკელია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეონა გოცირიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თზილისი

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვესო კეკელია 29. 06. 2021

აბსტრაქტი

დღესდღეობით საქართველოში საკმაოდ აქტუალურ თემას წარამოადგენს ტრანსგენდერი ადამიენბის უფლებრივი მდოგომარეობა, რასაც ადასტურებს სახალხო დამცელის 2020 წლის ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობის ანგარიში¹. ანგარიშში აქცენტი დასმულია ზოგადად ლგბტ+ თემის ზოგადად გამოხატვის და შეკრების თავისუფლების ხელის შეშლის და სახელმწიფოს მხირადან ინერტული დამოკიდებულება. ასევე, წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის შემთხვევები სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი მომართვიანობასთან დაკავშირებით, რომელთა რიცხვიც საკმაოდ მაღალია და აქცენტი გააკეთა თემის საჭიროებებზე, უფლებებზე და ძალადობაზე. ლგბტ+ თემს წარმოადგენს ტრანსგენდერი ქალები და კაცებიც, როლებიც, საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფია. სიტყვა "ტრანსგენდერი" წარმოადგენს ზოგად ტერმინს და აღნიშნავს იმ ადამიანთა ჯგუფს, რომელთა "გენდერული იდენტობა ან გამოხატვა დაბადებისას მათდამი მინიჭებული სქესის შესახებ მოლოდინებს არ ამართლებს" ².

ნაშრომში განხილულია სწორედ საქართველოში მცხოვრები ტრანსგენდერი ქალების და კაცების ძირითადი საჭიროებები. ნაშრომში წარმოდგენილია ის ძირითადი პრობლემები რომელსაც აწყდება აღნიშნულ ჯგუფი, რომლის საშუალებითაც ვიგებთ მათ შესახებ მეტ ინფორმაციას. ასევე წარმოდგენილია არსებული კვლევების ანალიზი, რომლის მეშვეობითაც გვეძლევა შესაძლებლობა შედარების, იმისა თუ რა შეიცვალა, რა გამოსწორდა ან რა საჭიროება დარჩა იგივე. ნაშრომში ყურადღება დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორიცაა: დემოგრაფიული მონაცემები, გამოცდილება იდენტობის ჩამოყალიბების დრო, სერვისებზე ხელმისაწვდომობა, სოციალიზაცია, ძალადობა, კანონმდებლობა და უფლებრივი მდგომრეობა და რეკომენდაციები და საჭიროებები, რა ძირითადი საჭირობების მიღმა რჩებიან. წარმოდგენილ კვლევა ეყრდნობა თვისებრივ კვლევას, სიღრმისეული ინტერვიუს მეშვეობით, სადაც მონაწილეობა მიიღო 10 ტრანსგენდერმა რესპონდენტმა, როგორც

-

 $^{^{1}}$ საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში

² Paisley C. (2006)

ტრანსგენდერმა ქალებმა ასევე ტრანსგენდერმა ქალებმა. მოცემული კვლევაში რესპონდენტები შერრჩნენ თოვლის გუნდის პრინციპით.

ABSTRACT

The legal status of transgender people is a question of a present interest in Georgia, which is confirmed by the Human Rights Report 2020¹ of the Public Defender. The report focuses on the general obstruction of freedom of expression and gatherings of the LGBT + community and the inert attitude of the state. Also, there are different types of cases related to the referrals submitted to the Public Defender's Office, the number of which is quite high and focused on the needs, rights, and violence of the community.

The LGBT + community is a group of transgender women and men, who are one of the most marginalized groups in Georgia. The word "transgender" is a general term and refers to a group of people whose "gender identity or gender expression differs from the sex that they were assigned at birth."³.

The paper discusses the fundamental needs of transgender women and men living in Georgia. The paper presents the main problems faced by this group, through which we learn more about them. There is also presented an analysis of an existing study which allows us to compare what has changed, what has been corrected, or what needs to be left the same. The paper discusses issues such as demographic data, experience in identifying identity, access to services, socialization, violence, legislation and legal status, and recommendations and needs, general needs that remain beyond. The presented study is based on a qualitative study through in-depth interviews in which 10 transgender respondents, both transgender women, and transgender men, participated. In this study, respondents were selected on a snow team principle.

³ Paisley C. (2006)

v